ელექტრონული ბიბლიოთეკა

# დამდეგს თანხმობა მოეტანოს, ოცნება ძველი აგვიხდენოდეს!

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი
1 იანვარი, სამშაბათი, 1991 წ.
№ 1 (10 414) ● ფასი 10 კაპ.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# მთავარი ჩვენთვის საქართველოა!

**საახალწლო ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარესთან ბატონ ნუგზარ ენდელაძესთან**

**● პირველ ყოვლისა, ბატონო ნუგზარ, ახალ წელს მოგილოცავთ! სხვა დარგებისა რა მოგახსენოთ, ქართულ სპორტს კი ურიგო წელიწადი არ ჰქონია, ეს კარგად იციან გულშემატკივრებმა. როგორ შეაფასებდით საქართველოს 1990 წლის სპორტულ მონაგარს?**

— მეც გილოცავთ ახალი, 1991 წლის მობრძანებას თქვენც და რედაქციის მთელ კოლექტივსაც. მშვიდობითა და თანხმობით ჩაევლოს ამ წელიწადს. სხვა დანარჩენი თავისთავად იქნება, საქართველოს სპორტსმენები კი, თავის მხრივ, არ გააწბილებენ ქომაგებს.



1990 წლის სპორტულ მონაგარზე მკითხეთ. სიეტლის კეთილი ნების თამაშებში საქართველოდან 10 სპორტსმენი გამოდიოდა სპორტის 7 სახეობაში. მოვიპოვეთ ექვსი მედალი.

1990 წელს მსოფლიო ჩემპიონატებიდან შინ 9 გამარჯვებული დაგვიბრუნდა, ხუთით მეტი, ვიდრე 1989 წელს. ამდენივე ევროპის ჩემპიონი გახდა. გვყავს მსოფლიო პირველობის 14 და ევროპის პირველობის 9 გამარჯვებული, საქართველოში „გაეწერა" 5 მსოფლიო და ევროპის თასი, 28 სპორტსმენი მსოფლიო და ევროპის ასპარეზობათა პრიზიორია.

1990-მა არათუ წინას, 1985-დან მოყოლებული ყველა წელს გაუსწრო შედეგებით. გავიხსენოთ, 1985 წელს არც ერთი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი არ გვყავდა. 1990 წელი ყველაზე უხვმოსავლიანი იყო საქართველოს სპორტის ისტორიაში.

აქვე დავძენ, მოსწავლეთა საკავშირო და ახალგაზრდულმა თამაშებმა, სხვა კომპლექსურმა ღონისძიებებმა დაადასტურა, რომ სპორტი საქართველოში აღმავლობის გზით მიდის, რომ ქართულ სპორტს ღირსეული, ნიჭიერი ცვლა ეზრდება, რაც სამომავლოდ უფრო ოპტიმისტურად განგვაწყობს.

**● 1990 წელს საქართველოს სპორტსახკომის მართვის სტრუქტურებში ცვლილებები მოხდა, გადაიდგა ნაბიჯები დემოკრატიული და თვითმმართველობითი პრინციპების დასამკვიდრებლად...**

— დიახ, ასეთი ცვლილებების გატარება საჭიროდ ჩავთვალეთ, შექმნილია ჭიდაობების, მძლეოსნობის და წყალთა სახეობების რესპუბლიკური ექსპერიმენტული-საწარმოო გაერთიანებები, გაერთიანებებს მიენიჭათ სრული ავტონომია სპორტღონისძიებათა და სასწავლო საწვრთნელი პროცესის წარმართვაში, გადაეცათ სპორტსახკომის ბაზები, აქვთ საკუთარი ანგარიში ბანკში. ჩვენ იქ გადავრიცხეთ სახსრები, რომელიც გამოყოფილი იყო მათივე სახეობების განვითარებისათვის, გაერთიანებები უშუალოდ იღებენ აგრეთვე სპონსორთა ფულად დახმარებას. მოკლედ, ეს გაერთიანებები ფაქტობრივად თავიანთი მუშაობის წარმართვის საკითხში ჩვენგან აბსოლუტურად დამოუკიდებელნი არიან.

**● ზოგი ფიქრობს, რომ გაერთიანებების შექმნამ ფუნქცია დაუკარგა ფედერაციებს, რომ გაერთიანებები გახდნენ სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი... რატომ სახელმწიფოებრივი?**

— გაერთიანების შექმნით ფედერაციებს არაფერი დაკლებიათ. განა მათ ვინმე უშლის ხელს საქმიანობაში? გაერთიანებები სახელმწიფოებრივია იმიტომაც, რომ სპორტს სახელმწიფოებრივი ზრუნვა ესაჭიროება. თუ ისინი სახელმწიფოებრივიც არ იქნებიან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე ბიუჯეტის თანხები ვერ გაიცემა.

**● საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ალბათ ყველაზე მეტად სპორტზე და სპორტულ ნაგებობებზე იმოქმედებს, როგორ გგონიათ, სად უნდა ვეძებოთ გამოსავალი?**

— აქ პრობლემის გადაჭრაში უნდა დაგვეხმაროს წამყვან სპორტსმენებთან სპონსორების ხელშეკრულების გაფორმება. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შეწყდეს სახელმწიფოებრივი დახმარება, მთავრობის მიერ დაფინანსება. ჩვენი აზრით, სპორტული სკოლებისა და

იხ. მე-2 გვ.

# დავით გობეჯიშვილი — საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი



დავით გობეჯიშვილი



ნინო სალუქვაძე



ლერი ხაბელოვი



ლელა მესხი



ნატო ნასარიძე



ამირან ტოტიკაშვილი



თემურ ქეცბაია



მალხაზ ბერუაშვილი



ხათუნა კორკელია



გიორგი გაჩეჩილაძე

1990 წლის სეზონი საქართველოს სპორტსმენებმა ურიგო შედეგებით როდი დაამთავრეს. იყო წარმატებები მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, დიდ საერთაშორისო ტურნირებში, საკავშირო სარბიელზე. ყველაფერი ეს გარკვეულწილად აისახა იმ ტრადიციულ საახალწლო ანკეტაში, რომელშიც სპორტული ჟურნალისტები წლის საუკეთესო სპორტსმენებს ასახელებენ.

რეფერენდუმში, ბუნებრივია, ფართოდ არის წარმოჩენილი სპორტის ის სახეობები, რომლებიც პოპულარობით სარგებლობენ ჩვენში. სულ კი ჟურნალისტებმა ხმა მისცეს ჩვიდმეტი სახეობის წარმომადგენლებს. 1990 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულია თავისუფალი სტილის მოჭიდავე დავით გობეჯიშვილი, რომელმაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წლეულს ორი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა: ერთი მსოფლიო ჩემპიონატზე და ერთიც, კეთილი ნების თამაშებზე.

გთავაზობთ საქართველოს საუკეთესო სპორტსმენთა ათეულს (დაგროვილი ხმების მიხედვით).

1. დავით გობეჯიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა).
2. ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა).
3. ლერი ხაბელოვი (თავისუფალი ჭიდაობა)
4. ლელა მესხი (ჩოგბურთი)
5. ნატო ნასარიძე (მშვილდოსნობა)
6. ამირან ტოტიკაშვილი (ძიუდო)
7. თემურ ქეცბაია (ფეხბურთი)
8. მალხაზ ბერუაშვილი (სამბო)
9. ხათუნა კორკელია (წყლის თხილამურები)
10. გიორგი გაჩეჩილაძე (ქართული ჭიდაობა)

**შენიშვნა:** დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, მეათე ადგილს უძლიერესთა შორის ჟურნალისტები აკუთვნებენ აბსოლუტურ ფალავანს ქართულ ჭიდაობაში.

აღნიშნულ სპორტსმენთა გარდა რეფერენდუმში დასახელებულნი იყვნენ (ანბანის მიხედვით): ქეთევან არახამია (ჭადრაკი), ვლადიმერ აფციაური (ფარიკაობა), მაია გუბიევა (სასტენდო სროლა), ვასილი დავიდენკო (ველოსპორტი), ვახტანგ იაგორაშვილი (თანამედროვე ხუთჭიდი), თამაზ იმნაიშვილი (სასტენდო სროლა), ხათუნა ქვრივიშვილი (მშვილდოსნობა), ზაურ ცხადაძე (მკლავჭიდი), ნუგზარ ძაგნიძე (რაგბი), დავით ხახალეიშვილი (ძიუდო), რუსუდან ხოფერია (ბატუტზე ხტომა) და სხვ.

1990 წლის რეფერენდუმში დასახელებულია აგრეთვე სამი უძლიერესი გუნდი (დაგროვილი ხმების მიხედვით) და საუკეთესო მწვრთნელთა ხუთეული (ანბანით).

იხ. მე-2 გვ.

შეიქმნა „სამაჩაბლოს ალორძინების ფონდი". თანხა შეგიძლიათ გადარიცხოთ საქართველოს მრეწვმშენბანკის საოპერაციო სამმართველოში სფზ № 521921. „სამაჩაბლოს ალორძინების ფონდი"

# 00700750

ველით თქვენს გამოხმაურებას. თანხის გადარიცხვის თაობაზე გვაცნობეთ „ლელოს" რედაქციაში.

# ავაშენებთ ერთ სახლს!

**რედაქციაში დაგვირეკა თბილისის სამშენებლო სარემონტო სამმართველოს „საქმედმრეწვმშენის" უფროსმა გიორგი ვაშაკიძემ, რომელმაც გვაუწყა, რომ მისი სამმართველო სამაჩაბლოში ერთ სახლს აუშენებს ახალი სოფლის ქართულ ოჯახს.**

# 2500 მანეთი ჩვენი...

**კულტურის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირების, თბილისის ფიზიკური და სპორტული ორგანიზაციების გაერთიანებული პროფკავშირების პრეზიდიუმის დადგენილებით ამ ორგანიზაციამ სამაჩაბლოს ფონდში 2500 მანეთი შეიტანა. ეს ცნობა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ ა. მხეიძემ მოგვაწოდა.**

# №2 პოლიკლინიკიდან

**თბილისის პროფილაქტიკურ-სამედიცინო შემოწმების № 2 პოლიკლინიკამ (მთავარი ექიმი ვ. ლოლელიანი) 30 ათასი მანეთი გაიღო „სამაჩაბლოს ალორძინების ფონდისათვის".**

# მთავარი ჩვენთვის საქართველოა!

(დასასრული)




სასწავლებლებისათვის სახელმწიფო დოტაციის გაზრდაც კი იქნება საჭირო. მოსალოდნელია, რომ სპორტნაგებობებს ძალიან გაუჭირდებათ, რადგან იზრდება გადასახადები თითქმის ყველაფერზე და, რაც მთავარია, მიწაზე. თუ ჩვენ გვაწუხებს ერის ჯანმრთელობა და გული შეგვტკივა დიდ სპორტზე, სპორტული ნაგებობები აუცილებლად უნდა განთავისუფლდნენ მიწის ბეგარისაგან.

● **დამოუკიდებლობისა და სრული სპორტული სუვერენიტეტისაკენ მიმავალი გზა ეკლიანია, მაგრამ, მიუხედავად წინააღმდეგობებისა, გამოჩნდნენ „პირველი მერცხლები“, რომლებმაც შეძლეს საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე დაეცვათ საქართველოს ღირსება..**



ზიმბაბვეში ქართული ეროვნული დროშა ფრიალებდა.



სიეტლი — დავით გობეჯიშვილი გულშემატკივართა გარემოცვაში.

— სპორტსახკომის, როგორც რესპუბლიკაში სპორტის განვითარებისათვის საერთო ხელმძღვანელი სახელმწიფო ორგანოს პოზიცია მტკიცე და ურყევია — ქართული სპორტი უნდა იყოს აბსოლუტურად დამოუკიდებელი, როგორც ცენტრისაგან, ისე ნებისმიერი პარტიისა თუ პოლიტიკური ორგანიზაციისგან. ამის დასტურად ცენტრიდან შემოთავაზებული ხელშეკრულების ჩვენს მიერ უარყოფაც კმარა. ამ ხელშეკრულებაზე უარი ჯერ კიდევ სექტემბერში განვაცხადეთ. უფრო ადრე, ივლისში, სპორტსახკომმა სრული დეპოლიტიზაცია გამოაცხადა.

ახლა, რაც შეეხება საერთაშორისო სარბიელზე დამოუკიდებლად გასვლას. რეალობიდან გამომდინარე, ცენტრის გვერდის ავლით, ყოველი ასეთი „გარღვევა“ ნამდვილად გმირობისა და თავდადების ტოლფასია. პირველად კარატისტებმა შეძლეს დამოუკიდებელი გაწევრიანება საერთაშორისო ფედერაციაში. პერუში გამართულ კონგრესზე სასწრაფოდ, სიძნელეების მიუხედავად, ჩავედით. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტ ბატონ პაატა ნაცვლიშვილთან ერთად პატივი გვხვდა ამ ისტორიული გადაწყვეტილებების ხორცშესხმაში პირადი წვლილი შეგვეტანა. ყოველივე ამან საშუალება მოგვცა ჩვენს კარატისტებს პირველად ესპარეზათ მსოფლიო ჩემპიონატში. მსოფლიო ჩემპიონატში ასევე ცალკე გუნდად გამოვიდნენ ქართველი მკლავჭიდელები. გახსოვთ, ზაურ ცხადაძემ ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა. საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა, პირველმა სპორტის სათამაშო სახეობებიდან, ეროვნული დროშის ქვეშ ჩაატარა ტესტ-მატჩები ზიმბაბვეში, ხოლო ცხენოსნებმა პარდუბიცეს საერთაშორისო მეასე საიუბილეო სტიპლ-ჩეისში მიიღეს მონაწილეობა. ვზრუნავთ სპორტის ეროვნული სახეობების საერთაშორისო სარბიელზე გასატანად. ჩავატარეთ II საერთაშორისო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. ჩამორჩენით მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში. ამ მიმართებით პრეტენზიები გვაქვს სპორტსაზოგადოებებთან „შევარდენთან“, „მართვესთან“, მსხვილ წარმოებებთან. სპორტსახკომი, ცხადია, პასუხისმგებლობას არ იხსნის.

● **რას იტყვით სპორტსახკომის ურთიერთობაზე საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან და სპორტულ ფედერაციებთან?**

— ჩვენი ურთიერთობა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან და სპორტულ ფედერაციებთან მხოლოდ კონსტრუქციულია. ასეც უნდა იყოს. ჩვენ ხომ ერთ საქმეს ვემსახურებით. თქვენ ალბათ იცით, რომ საქართველოს სპორტსახკომი ერთ-ერთი პირველი დამფუძნებელია ოლიმპიური კომიტეტისა, მის დაფუძნებამდე მე და „ლელოს“ რედაქტორი ბატონი თენგიზ გაჩეჩილაძე ერთად გახლდით რიგაში გამართულ საკონსულტაციო შეხვედრებზე. მოსკოვმა იმ დღეებში რიგაში საგანგებოდ მიავლინა საკავშირო სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე კოზლოვსკი. შიში გასაგები იყო: საქართველო უერთდებოდა „მეამბოხე“ ბალტიისპირეთს, მეტიც, თუ ბალტიისპირელები 40-იან წლებში თვალსა და ხელშუა დაკარგული ეოკ-ების აღდგენას ითხოვდნენ, საქართველო — პირველი საბჭოთა რესპუბლიკა აღმოჩნდა დამოუკიდებელი ეოკ-ის შექმნას რომ ითხოვდა. ცენტრიდან მუქარა-დაწოლის მიუხედავად, რიგის შეხვედრების შემდეგ, საქართველოში სწორედ ის ნაბიჯები გადაიდგა, რასაც ხალხი მოელოდა. სამაგიეროდ, ცენტრმა ჯავრი იმით იყარა, რომ 1998 წლის თეთრი ოლიმპიადის მასპინძლად საბჭოთა კავშირის კანდიდატურებიდან უპირატესობა მიანიჭა.. სოჭს, აღიარებულ საზაფხულო კურორტს და არა ბაკურიანს.

● **თქვენი აზრი, ფეხბურთში საქართველოს დამოუკიდებელ ჩემპიონატთან დაკავშირებით...**

— ეს საკითხი სპორტსახკომში და თქვენს გაზეთში წამოიჭრა და აგორდა, თანდათან მომწიფდა საზოგადოებრივი აზრი, საკითხიც საბოლოოდ ამან გადაწყვიტა. ახლა მთავარია, ყველამ ერთად გამოვნახოთ საერთაშორისო საფეხბურთო ფედერაციაში გაერთიანების შესაძლებლობა.

● **საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა გარდამავალი პერიოდი, როგორც ხელმძღვანელს, როგორ გესახებათ გარდამავალი პერიოდი უბანზე, რომლისთვისაც თქვენ უშუალოდ აგებთ პასუხს?**

— დღეს, როდესაც ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებამდე, ფაქტობრივად, წელიწადნახევარი დარჩა, პოზიცია უთუოდ უნდა გამოიკვეთოს. თუ გარდამავალ პერიოდში მიზნად ქართული სპორტის ტრადიციების შენარჩუნებას დავისახავთ სხვაა, მაგრამ პრინციპებისა და ღირსების შენარჩუნების პოლიტიკას უნდა დავადგეთ. მსხვერპლზე წასვლა, ცხადია, ადვილია, მაგრამ შედეგების გამო, პასუხისმგებლობისთვისაც აქედანვე უნდა ვიყოთ მზად. მოუზომელმა ნაბიჯმა შეიძლება ოლიმპიური მედლების გარეშე დატოვოს სპორტსმენები, რომლებსაც რეალურად შეუძლიათ ამ მაღალი ჯილდოების მოპოვება, მაგალითად, ნინო სალუქვაძე, დავით გობეჯიშვილი, ლერი ხაბელოვი, კობა კურტანიძე, ამირან ტოტიკაშვილი... სეოკ-ის ამასწინანდელმა სესიამ დაგვარწმუნა, რომ ამ საკითხს ძალზე სერიოზულად, მე ვიტყოდი, სხთუთად, უნდა მივუდგეთ. დღეს სპორტი პროფესიაა, პროფესიული სპორტის სტატუსი კი ადამიანის უფლების დაცვას უკავშირდება.

ცხადია, მთავარი ჩვენთვის საქართველოა. მისი ინტერესები უზენაესია, როგორც რესპუბლიკის სპორტული სამყაროსთვის, ისე იმათთვისაც, ვინც ჩვენი სპორტსმენების საერთაშორისო წარმატებებით ხარობს და ამაყობს. ეს სულისკვეთება, ყოველთვის მჟღავნდებოდა, როცა სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ეროვნული მოძრაობის ლიდერებს ვხვდებოდით. სპორტი იყო, მით უმეტეს, მომავალში უფრო საჭირო გახდება, როგორც მსოფლიოში საქართველოსა და ქართველი კაცის სახელის სიამაყის გატანის ჩინებული შესაძლებლობა.

კარგად გამიგეთ, სპორტსახკომს დღეს უჭირს გააკეთოს უტყუარი არჩევანი — საქართველოში სპორტი საყოველთაო სიყვარულითაა გარემოსილი და მისი მომავალი ბედი, დამეთანხმებით, ერთი უწყების გადასაწყვეტი არ არის.

● **საქართველოს სპორტი რა მატერიალურ დახმარებას იღებს ცენტრიდან?**



— ფულადი გამოხატულებით დაახლოებით 10 მილიონი მანეთი იყო წელიწადში, რომელსაც სპორტსახკომი, სპორტსაზოგადოებები იღებდნენ, სხვაა სპორტული ინვენტარი, ტანსაცმელი, სპორტსმენების სტიპენდიები, სტიმულირება... გარდამავალ პერიოდში უნდა გამოინახოს ადგილობრივი სახსრები, რომ სპორტისადმი ინტერესი არ განელდეს. საქართველოს სპორტული მოძრაობა იმედით შეჰყურებს ეროვნულ პარლამენტს და მის გვერდითაა საქართველოს ინტერესებისათვის ბრძოლაში.

● **ზემოთ საზოგადოებრივი აზრის შექმნაში „ლელოს“ როლზეც ითქვა. როგორ მიიღო სპორტსახკომმა მისი ყოფილი გამოცემის დამოუკიდებელ გაზეთად გამოცხადება?**

— ბოლო მიზანი მაინც. ყველაფერში დამოუკიდებლობაა, მათ შორის სპორტული გაზეთისთვისაც. ჩვენ მივესალმებით ამ ნაბიჯს, გაზეთმა უკეთ იცის თავისი საქმე, რაც მთავარია, ჩვენც და მთელ სპორტულ სამყაროსაც გვწამს, რომ „ლელო“ მუდამ იქნება ქართული ეროვნული სპორტის ინტერესების ერთგული. უკრაინაში დიდი ხანია დავაა სპორტული გაზეთის უკრაინის სპორტსახკომისადმი დაქვემდებარებიდან გამოსვლის თაობაზე, ჩვენთან კი ეს ისე მოგვარდა, საკითხი ოფიციალურად არც დასმულა. „ლელოს“ კოლექტივმა თავად განსაზღვრა საკუთარი ბედი.

● **ახალ წარმატებებს გისურვებთ 1991 წლის სპორტულ სეზონში.**

— დიდი მადლობა, თქვენც წარმატებით გევლოთ!



ქართველი კარატისტები პერუში.



ჩვენი ცხენოსნების დელეგაცია პარდუბიცეში.

**ესაუბრა ბაქარ ბაქრაძე.**

# დავით გობეჯიშვილი— საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი

(დასასრული)

**საუკეთესო გუნდები**

**(დაგროვილი ხმების მიხედვით)**

**1. „აია“ (ქუთაისი, რაგბი)**

**2. „იბერია“ (თბილისი, ფეხბურთი)**

**3. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები**

დასახელებული იყვნენ, ასევე, მშვილდოსანთა ნაკრების წარმომადგენლები, „მართვეს“ ნორჩი კალათბურთელები, საქართველოს ნაკრები თავისუფალ ჭიდაობაში და ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელები.

**საუკეთესო მწვრთნელები**

**(ანბანის მიხედვით)**

**თეიმურაზ კაკულია (ჩოგბურთი)**

**ვახტანგ სალუქვაძე (სროლა)**

**გურამ სალარაძე (თავისუფალი ჭიდაობა)**

**დავით ყიფიანი (ფეხბურთი)**

**შოთა ხაბარელი (ძიუდო)**

საქართველოს საუკეთესო მწვრთნელთა სიაში მოხსენიებულნი არიან, აგრეთვე, გ. იმნაძე (ფეხბურთი), დ. კავთელაშვილი (რაგბი), ვ. ლეკვეიშვილი, ა. მეძევიძე (ორივე — მშვილდოსნობა), ვ. მესტვირიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), გ. ნოდია (ფეხბურთი), თ. ოქრუაშვილი (კალათბურთი), ზ. სულაშვილი (ბატუტზე ხტომა) და სხვ.

* * *

**საახალწლო** გამოკითხვა, რომელიც მიზნად ისახავს წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოვლენას, ამავე დროს, სრულყოფილად წარმოაჩენს სპორტის ამა თუ იმ სახეობის მდგომარეობას და ხაზს უსვამს მისი შემდგომი განვითარების ტენდენციას. დააკვირდით რეფერენდუმების შედეგებს, რომლებიც 1964 წლიდან სისტემატურად ტარდება საქართველოში, დააკვირდით და მიხვდებით, რით სუნთქავს ჩვენი ეროვნული სპორტი, რა განსაზღვრავს მის ძლიერებას.

ქვემოთ მოყვანილ სიაში ნაჩვენებია, თუ რომელი სპორტის სახეობის წარმომადგენლებს ანიჭებენ უპირატესობას ჟურნალისტები. მაშ ასე, 1964 წლიდან მოყოლებული საქართველოს საუკეთესო სპორტსმენებად იყვნენ დასახელებული:

**მოჭადრაკე — 5-ჯერ**

**თავ. მოჭიდავე — 5**

**მძლეოსანი — 3**

**მსროლელი (ტყვიის) — 2**

**ფეხბურთელი — 2**

**ველოსიპედისტი — 1**

**ჩოგბურთელი — 1**

**კალათბურთელი — 1**

**მოცურავე — 1**

**მოკრივე — 1**

**ძიუდოისტი — 1**

**მშვილდოსანი — 1**

**კლას. მოჭიდავე. — 1**

**შენიშვნა:** 1982 წელს საქართველოს ჟურნალისტებმა უპირატესობა მიანიჭეს მოჭადრაკე ოთხეულს (მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი), რომელმაც საჭადრაკო ოლიმპიადა მოიგო, ამიტომ, სინამდვილეში მოჭადრაკეები საუკეთესოთა შორის ექვსჯერ არიან დასახელებულნი (ხუთჯერ ინდივიდუალურად, ერთხელ, ასე ვთქვათ, გუნდურად).

ყველაზე მეტჯერ საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად დასახელებული იყო მაია ჩიბურდანიძე (სამჯერ პირადად და ერთხელ გუნდში). 3-3-ჯერ იყვნენ რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენები ვიქტორ სანეევი და ლევან თედიაშვილი, ხოლო ორჯერ — ნინო სალუქვაძე. დანარჩენი თოთხმეტი სპორტსმენი საუკეთესოთა შორის ერთხელაა დასახელებული.

გთავაზობთ საქართველოს საუკეთესო სპორტსმენთა სიას 1964 წლიდან მოყოლებული.

**1964 წელი:** სლავა მეტრეველი (ფეხბურთი)

**1965 წელი:** ომარ ფხაკაძე (ველოსპორტი)

**1966 წელი:** ალექსანდრე მეტრეველი (ჩოგბურთი)

**1967 წელი:** ზურაბ საკანდელიძე (კალათბურთი)

**1968 წელი:** ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა)

**1969 წელი:** ნანა ალექსანდრია (ჭადრაკი)

**1970 წელი:** თინათინ ლეკვეიშვილი (ცურვა)

**1971 წელი:** ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)

**1972 წელი:** ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა)

**1973 წელი:** ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)

**1974 წელი:** ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა).

**1975 წელი:** ნონა გაფრინდაშვილი (ჭადრაკი)

**1976 წელი:** ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა)

**1977 წელი:** დავით კვაჭაძე (კრივი)

**1978 წელი:** მაია ჩიბურდანიძე (ჭადრაკი)

**1979 წელი:** თემურ ხუბულური (ძიუდო).

**1980 წელი:** ქეთევან ლოსაბერიძე (მშვილდოსნობა)

**1981 წელი:** რამაზ შენგელია (ფეხბურთი)

**1982 წელი:** მოჭადრაკე ქალთა ოთხეული (მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი).

**1983 წელი:** თეიმურაზ აფხაზავა (კლასიკური ჭიდაობა)

**1984 წელი:** მაია ჩიბურდანიძე (ჭადრაკი)

**1985 წელი:** დავით გობეჯიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)

**1986 წელი:** მაია ჩიბურდანიძე (ჭადრაკი)

**1987 წელი:** ლერი ხაბელოვი (თავისუფალი ჭიდაობა)

**1988 წელი:** ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა)

**1989 წელი:** ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა







# კახი კავსაძე... პელეს ნათლია

**კახი კავსაძეს მთელი საქართველო იცნობს, პელეს — მთელი მსოფლიო. რისთვის დაგვჭირდა ორივეს გახსენება? თუნდაც იმიტომ, რომ კახი კავსაძე პელეს, იგივე ედსონ არანტეს დოს ნასიმენტოს ნათლია ყოფილა. არა გჯერათ? ჩვენც არა გვჯეროდა. ჰოდა, ყველა, ჩვენც და თქვენც რომ დავერწმუნებინეთ, ამიტომაც დაარქვეს მომავალ ფილმს ავტორებმა „გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!". თუმცა სურათზე მუშაობის პროცესში სახელი შეუცვალეს, სათქმელი უფრო დააკონკრეტეს და უწოდეს „მე ვარ პელეს ნათლია..."**

**მწერალმა** რეზო ჭეიშვილმა, სცენარისტებმა ლევან ჭელიძემ, დევი ივანოვმა და კინორეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა (რა თქმა უნდა, უმცროსმა) დაწერეს, ასე ვთქვათ, უპრეტენზიო სცენარი უბრალო, მაგრამ მაინც პრეტენზიულ კაცზე. მისი ერთადერთი პრეტენზია სწორედ ის არის, რომ ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელის, ფეხბურთის მეფედ აღიარებული პელეს ნათლიად თვლის თავს. დიახ, ასე: არც მეტი არც ნაკლები!

მაინც რა შუაშია აქ რესპუბლიკის სახალხო არტისტი კახი კავსაძე? არაფერში, „გარდა" იმისა, რომ იგი ფილმში სწორედ პელეს ნათლიის — ელექტროინჟინერ ლადო კავსაძის როლს განასახიერებს — „სუფთა" ხელფასზე ცხოვრობს, ნამდვილად წესიერი ადამიანია, ცოლშვილიანი. ლადოს ცხოვრება, რომ იტყვიან, ერთობ პროზაულია: სახლში ცოლი ეჩხუბება გამუდმებით, სამსახურში — თანამშრომლები, ქუჩაში — ნაცნობები.

— ადგილს აცდენ! — ეუბნება პურ-მარილზე ერთ-ერთი ნაცნობი — კაცო, აიღე და უკან დაატრიალე ელექტრომრიცხველი, შენც მოიგებ და სახელმწიფოსაც ბევრი არაფერი დააკლდება.

გაგიგონიათ! რის მრიცხველი, რა მრიცხველი. ლადოს აზრი და გონება სულ სხვას უტრიალებს. იგი ხომ თვით პელეს ნათლიაა. სახელგანთქმული ბარონ მიუნჰაუზენივით თავად მოიგონა საკუთარი ბიოგრაფია და ყვება, როგორც სინამდვილეს: აი, იგი ენერგიულად ეკამათება 1970 წლის მეხიკოს მსოფლიო ჩემპიონატის წინ ბრაზილიელთა მწვრთნელს ჟოაო სალდანიას... პელეს დაყენებაზე გუნდის შემადგენლობაში; არწმუნებს მოუბართ, თუ როგორ ურჩია თვით ვისენტე ფეოლას ახალი სათამაშო სქემა 4-2-4, თუ როგორ ესწრებოდა მსოფლიო ყველა ჩემპიონატს მას შემდეგ, რაც დიდ სარბიელზე მისი ნათლული პელე გამოჩნდა; როგორ მეგობრობს ეუსებიოსთან, ჩარლტონთან, ბეკენბაუერთან, კარლოს ალბერტოსთან და სხვა გამოჩენილ ვარსკვლავებთან.

ამის შემდეგ, რასაკვირველია, იგი იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის სტუმარი იქნება, რაშიც მას ამჯერად უსათუოდ დაეხმარება „თავისი" ქალღმერთი ნიკე. ანუ ე.წ. „ოვირ"-ის უფროსის ტექნიკური მდივანი ქალი.

...ქუჩაში გამოსული კვლავ ოცნებამ გაიტაცა და მოულოდნელად განათების ბოძს დაეჯახა შუბლით. ბიჭოს, ამ შუადღისას შუქი რატომ ანთია? თავის უფროსს მოახსენა „საქენერგოში". ატყდა ერთი პანიკა. ვერაფრით დაადგინეს, სად იყო ჩართული დენი, თუმცა მთელს ქალაქში ეძებეს. ბოლოს თითქოს მიაგნეს კიდეც რაღაც უზარმაზარ სქემა-ფარს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ამიტომ ბატონმა ლადომ განაცხადა, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა... მთელი სისტემის შეცვლა. არ ვიცით, რა სისტემას გულისხმობდა ფილმის გმირი, მაგრამ ასეთი განცხადებისთვის კინაღამ დაითხოვეს სამსახურიდან.

მაინც როგორ გადაიღეთ სცენები პელეს მონაწილეობით? — ასეთი კითხვით მივმართეთ ფილმის რეჟისორს მიხეილ ჭიაურელს. სანამ მის პასუხს გავაცნობდეთ, ორიოდე სიტყვა ამ „სპორტულ" კინორეჟისორზე. ქართველი მაყურებელი კარგად იცნობს მის მოკლემეტრაჟიან ფილმებს — „ყიფიანის დაბრუნება" (ფეხბურთელ დავით ყიფიანზე), „ჩემი მშვილდი და ისარი" (მშვილდოსან ქეთევან ლოსაბერიძეზე), „ჭიდაობას რა უნდა" (მთავარ როლს აქ მსოფლიო ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი ასრულებს). ამ ფილმების ნახვისას რწმუნდები, რომ რეჟისორს მართლაც ძალიან უყვარს სპორტი, იზიდავს მისი სამყარო, სპორტსმენების სული და ბუნება. სხვათა შორის, მიშა ჭიაურელმა, რომელმაც ადრე გადაიღო მშვენიერი ფილმები ქართულ ფოლკლორზე — „ქართული ხალხური შრომის სიმღერები", „სვანური ფერხული", „ლილეო" და სხვა — ამას წინათ გახსნა დამოუკიდებელი კინოვიდეოცენტრი „თბილისი" (იგი კინოსტუდია „ქართული ფილმის" ბაზაზეა დიღომში). უკვე შეუდგნენ პირველი სურათის გადაღებას — ეს არის კინოფილმი საქართველოს მეფე სოლომონ მეორეზე. ვფიქრობთ, რომ ახალ სტუდიას, რომელიც თვითდაფინანსებით იარსებებს, გამოუჩნდება სპონსორები და მყარად დადგება ფეხზე.

მაშ ასე, პელეს შესახებ:

— კახი კავსაძე, მე და ჩემი ქალიშვილი ქეთი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მეოთხეკურსელი (იგი ფილმში ორი ნიკეს — ქალღმერთის და მდივნის როლებს ასრულებს და მილანში თარჯიმნობასაც გვიწევდა) იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე ჩავედით რომში — გვიამბობს მ. ჭიაურელი — შევიტყვეთ, რომ პელე სასტუმრო „ინტერკონტინენტალში" გაჩერებულა. ცხადია, მაშინვე მისკენ გავეშურეთ. ჰოი, საოცრებავ, სასტუმროს ჰოლში თვალი მოვკარით თვით პელეს. კახი მიეჭრა მას, იმოშვლა ვერცხლის ხანჯალი და... პელეს, ცოტა არ იყოს, ფერი ეცვალა, შეცბა, უკან დაიხია: ვინ იცის, რამდენი გიჟი დადისო ამ ქვეყნად! პელეს პირადი მცველებიც (ორი „ტროყია" ვაჟკაცი) დაიბნენ წამიერად. კახიმ არც აცია, არც აცხელა, პირდაპირ ჰკითხა გაოგნებულ ფეხბურთელს: „პელე, როგორ არის მამაშენი, დონდინიო?" (უნდა გითხრათ, რომ კახი ამ სიტყვებს ინგლისურად მთელი კვირა იზეპირებდა), პელე, ცხადია, ნებისმიერ კითხვას მოელოდა, გარდა ასეთისას. კარგა მოზრდილი ქართული ხანჯალი კი მიიღო საჩუქრად, მაგრამ სახტად დარჩენილმა, იქვე ჰკითხა თარჯიმანს: „ვინ არის ეს კაცი, საიდან იცნობს მამაჩემს, მით უფრო, მისი ამ მეტსახელით?" კახიმ უპასუხა, რომ ახალგაზრდობაში ბრაზილიაში მუშაობდა ელექტროსისტემაში და მამამისის დიდი მეგობარი იყო, უფრო მეტიც: შენ მაშინ პატარა იყავი და არ გახსოვს, მე ხომ მოგნათლეო კიდეც! ამის გაგონებაზე პელე, შევატყვეთ, კინაღამ გადაირია, მაგრამ დიდი ტაქტი გამოიჩინა, გაიღიმა და გადაეხვია ქართველ ნათლიას. ყოველივე ამას მე ვიდეოფირზე ვიღებდი, რადგან კინოკამერით არ შეიძლებოდა პელეს გადაღება სპეციალური ნებართვის ან უზარმაზარი თანხის გადახდის (მილიონამდე) გარეშე. მაგრამ ყოველივე ეს არ იყო საკმარისი მომავალი ფილმისათვის (პელეს კადრებისათვის). ამიტომ, როდესაც შევიტყვეთ, რომ ნოემბერში მილანში პელეს საპატივსაცემოდ დიდი საფეხბურთო ზეიმი იმართებოდა, გადავწყვიტეთ, რადაც უნდა დაგვჯდომოდა, გავმგზავრებულიყავით იქ. საკავშირო ტელერადიომ, რომლის დაკვეთითაც ვიღებდით ამ ფილმს, უარი თქვა სამივლინებო ხარჯებზე. გულმოწყალება საქართველოს „ინტურისტმა" და პირადად მისმა მმართველმა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრმა ომარ სიამაშვილმა გამოიჩინეს (საჭირო თანხის გარკვეული ნაწილი), რისთვისაც დიდად ვემადლიერებით „პელეს გადამღები ჯგუფის" სახელით. ერთი სიტყვით, გზას გავუდექით და მილანში აღმოვჩნდით. პირდაპირ გეტყვით, იმისათვის, რაც ჩვენ იქ გავაკეთეთ, დასაჭერი თუ არა, კარგა მაგრად დასაჯარიმებელნი ვიყავით. თავად განსაჯეთ: ყოველგვარი აკრედიტაციის გარეშე სამივენი რაღაც „ქართულ-იტალიური" ზერხებით მოზეიმე მუნიციპალური სტადიონის „სან-სიროს" კულუარებში აღმოვჩნდით. საიუბილეო მატჩის დაწყების წინ, ყოველი შემთხვევისათვის, კახის თბილისიდან წამოღებული, პელესათვის საჩუქრად განკუთვნილი, თეთრი ნაბადი ჩავაცვით. წარმოიდგინეთ, ყველას ეგონა, რომ ჩვენი ეს ექსტრავაგანტური ტრიოც ზეიმის პროგრამით იყო გათვალისწინებული და ხელი არ გვახლეს.



მიხეილ ჭიაურელი

ერთხელ კი მაინც გვკითხეს, საიდან ხართო? საქართველოდან! — ვუპასუხეთ. არ ვიცით, გაიგეს თუ არა, მაგრამ ზრდილობიანად თავი დაგვიქნიეს. აბა რას წარმოიდგენდნენ, რომ ამ დიდებულ დღეს ვინმეს შეეძლო ასეთი ავანტიურის ჩადენა იქ, სადაც სპეციალური საშვის გარეშე, რომ იტყვიან, ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა. უფრო მეტიც: რამდენიმე წუთში უშუალოდ მწვანე მინდორზე აღმოვჩნდით. იქ მრავლად მყოფ წესრიგის დამცველებს... კახიც შეერია, ნაბადი ვიღაცას მიაბარა სახელდახელოდ და ენერგიულად დაიწყო წესრიგის დამყარება. ისე შეიჭრა როლში, რომ, წარმოიდგინეთ, ზეიმის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორიც კი გასწია გვერდით — ნუ გვიშლით ხელსო! კახი ერთთავად სულ „მომენტო, მომენტოს!" იძახდა და ყველას ფიფა-ს პრეზიდენტი თუ არა, მისი დიდმოხელე მაინც ეგონა. მით უფრო მას შემდეგ, რაც იგი მეგობრულად გადაეხვია მატჩზე ჩამოსულ თავის ძველ ნაცნობს მინსკელ სერგეი ალეინიკოვს, მერე ბეკენბაუერთან და ფალკაოსთან გააბა მუსაიფი ორივე ხელის დახმარებით. კაცმა არ იცის, რას ელაპარაკებოდა, ან რა ენაზე ელაპარაკებოდა. თუმცა რა, გარეგნულად ყოველივე ფრიად სასიამოვნო საუბარს ჰგავდა. ბოლოს კახი ისე „გაკადნიერდა", სტადიონის უზარმაზარ ტაბლოეკრანზე მიუთითა ვიღაცას გაბრაზებულმა: — „გაასწორეთ ფოკუსი!" მერე ინტერვიუ მისცა ვიღაც უცხო ჟურნალისტებს... წმინდა „იმერული აქცენტით". ინტერვიუერებს იგი მართლაც პელეს ნათლია ეგონათ და გაუთავებლად იღებდნენ ფირზე და იწერდნენ მაგნიტოფონზე. საუბრის დროს კახი — როგორც შემდეგ გვითხრა — თავად აძლევდა კითხვას საკუთარ თავს და პასუხსაც თვითონვე იძლეოდა. ერთი სიტყვით, სანამ პელე გამოჩნდებოდა, ყველას ყურადღება კახი კავსაძისკენ იყო მიპყრობილი. და აი ისიც, — „ფეხბურთის მეფე" — დღევანდელი ზეიმის მთავარი მიზეზი. კახი მიიჭრა პელესთან, რაღაც მითითება მისცა თამაშის ტაქტიკის სფეროდან. პელემ, ცხადია, იცნო იგი, კიდევ ერთხელ გულთბილი მადლობა გადაუხადა ადრინდელი საჩუქრისათვის: „გრაცე, პრეზენტო!". გახარებულმა კახიმ ქართულად ღიმილითვე უპასუხა: „ჯერ სად ხარ, ჩემო პელე, პაწა მაცალე, შენთვის უფრო დიდი საჩუქარი მაქვს!" მერე სერიოზული იერი მიიღო და დაუმატა: „აბა, შენ იცი, არ აღელდე, მე აგერ ვარ... ბეკენბაუერთან ერთად!".

ერთი სიტყვით, რა გავაგრძელო, თამაში რომ დამთავრდა, რეპორტიორთა მთელი ჯარი მისცვივდა პელეს, მაგრამ ისევ კახიმ („სან-სიროზე" უკვე ყველასათვის ნაცნობმა კაცმა) იხსნა „ფეხბურთის მეფე" კორესპონდენტების მარწუხისგან და გასახდელში წაიყვანა. პელემ მხოლოდ ერთ რეპორტიორს მისცა ინტერვიუ — ეს იყო წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ბეტეგა, რომელიც ახლა იტალიის რადიო-ტელევიზიას წარმოადგენდა. სხვათა შორის, ეს ინტერვიუ ჩვენს ფილმშიც მოხვდა. იგი ქართულადაა გახმოვანებული: პელე ამბობს, რომ იგი ძალიან ღელავს, ყველას დიდ მადლობას უხდის, განსაკუთრებით კი... თავის ნათლიას, რომელმაც მოაწყო მთელი ეს დიდებული ზეიმი, საერთოდ მამამისის ამ ერთგულ მეგობარს დიდი ამაგი აქვს პელეს დავაჟკაცებაზე და ფეხბურთელად ჩამოყალიბებაზე და ასე შემდეგ. კახიმ იქვე მიმართა იერიშზე გადმოსულ კორესპონდენტებს: „თავი დაანებეთ ჩემს ნათლულს, ხომ ხედავთ, ძალიან დაიღალა და შეიძლება გაცივდეს კიდეც!" ამ სიტყვებთან ერთად კახი კავსაძემ ისევ დაც აღელვებულ პელეს ქართული ნაბადი მოახურა ტანთ, კახური ქუდი დაახურა, კიდევ ერთხელ ჩაიკრა გულში და გასახდელში შეუშვა...

**ოთარ ნოზაძე**

• • •

**სურათებზე:** „ნათლია-ნათლული", კახი კავსაძემ ქართული ქუდი და ნაბადი უსახსოვრა პელეს: „აბა, შენ იცი, არ აღელდე. მე აგერ ვარ!.."

# ევროპის საკლუბო ტურნირები და ქართველი ფეხბურთელები

**თბილისის** „დინამოს" „თავგადასავლები" ევროპის თასებისათვის ბრძოლაში 1972 წლის 13 სექტემბრიდან იწყება, როდესაც იგი უეფა-ს თასის გათამაშების პირველ წრეში ჰოლანდიის „ტვენტეს" შეხვდა (3:2, 0:2 — შემდგომ ეტაპზე ჰოლანდიელები გავიდნენ). აქედან მოყოლებული 1987 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით, როდესაც „დინამო" ბრემენის „ვერდერს" შეხვდა (თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1), გუნდმა სამივე თასის გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა და 51 მატჩი გამართა.

სრული სტატისტიკა კი ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| ჩ. თ. | 4 | 1 | 0 | 3 | 7-8 |
| თ. თ. | 21 | 11 | 3 | 7 | 30-17 |
| უ. თ. | 26 | 13 | 5 | 8 | 39-32 |
| სულ: | 51 | 25 | 8 | 18 | 76-57 |

როგორც ამ სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, თბილისის „დინამომ" ყველაზე მეტი თამაში ჩაატარა უეფა-ს თასის გათამაშებაში (ამ ტურნირში მონაწილეობდა 6-ჯერ: 72-73, 73-74, 77-78, 78-79, 82, 87 წ. წ.) ყველაზე ნაკლები — ჩემპიონთა თასზე, იგი ამ ტურნირში მხოლოდ ერთხელ (1979-80 წლები) თამაშობდა. თასების თასზე „დინამო" 3-ჯერ გამოვიდა (1976-77, 80-81, 81-82 წლები), აქედან, ერთხელ, ნახევარფინალში და ერთხელ ფინალში გავიდა.

განსაკუთრებულ წარმატებას თბილისელმა ფეხბურთელებმა 1980-81 წლების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მიაღწიეს. მათ თანმიმდევრულად დაამარცხეს „კასტორია" (საბერძნეთი), „უოტერფორდი" (ირლანდია), „ვესტ-ჰემი" (ინგლისი), „ფეიენოორდი" (ჰოლანდია), ხოლო ფინალში — „კარლ ცეისს" (გდრ) ანგარიშით 2:1 მოუგეს.

51 მატჩში „დინამოს" შემადგენლობაში ითამაშა 51 ფეხბურთელმა. ესენი არიან: 1. ა. ჩივაძე, — 40 (გაიტანა 6 გოლი), 2. რ. შენგელია — 38 (19), 3. დ. ყიფიანი — 35 (10), 4. ვ. გუცაევი — 34 (8), 5. შ. ხინჩაგაშვილი — 32, 6. ო. გაბელია — 32, 7. თ. სულაქველიძე — 31 (6), 8. ვ. დარასელია — 31 (4), 9. მ. მაჩაიძე — 26 (2), 10. ნ. ხიზანიშვილი — 22 (1), 11. დ. მუჯირი — 20, 12. დ. გოგია — 19, 13. ფ. კანთელაძე — 18 (1), 14. თ. კოსტავა — 17, 15. ზ. სვანაძე — 17, 16. ვ. ქორიძე — 16, 17. რ. ჩელებაძე — 14 (3), 18. გ. მაჩაიძე — 12, 19. გ. თავაძე — 11, 20. ნ. კაკილაშვილი — 11, 21. ზ. ებრალიძე — 10 (1), 22. გ. ნოდია — 8 (5), 23. ლ. ნოდია — 8 (2), 24. ვ. ჭელიძე — 8 (1), 25. კ. ასათიანი — 8 (1), 26. ზ. წერეთელი — 7 (1). 27. რ. ძოძუაშვილი — 7, 28. ვ. ჟვანია — 6 (1), 29. მ. ხურცილავა — 6, 30. ვ. კოპალეიშვილი — 6. 31. გ. ჭილაია — 6 (1), 32. ა. ცვეიბა — 6, 33. ს. ჭედია — 6 (1). 34. ზ. რევიშვილი — 6, 35. გ. გურული — 6 (1), 36. ო. კორძაია — 6, 37. გ. კეტაშვილი — 5. 38. გ. გავაშელი — 4 (1), 39. გ. ცაავა — 4, 40. თ. ქეცბაია — 4, 41. მ. არზიანი — 4, 42. მ. ფანცულაია — 3, 43. გ. ჯოხაძე — 3, 44. მ. მესხი — 3, 45. გ. პეტრიაშვილი — 2, 46. გ. აჯოევი — 2, 47. გ. ჩქარეული — 1, 48. დ. პაიკიძე — 1, 49. თ. დვალიშვილი — 1, 50. კ. კერესელიძე — 1, 51. ა. ანდღულაძე — 1.

**მიხეილ საბახტარიშვილი**

# გზანი სიჩაუქისანი...

## შეხვედრა მადრიდში ბაგრატიონთა შთამომავალთან



**წარმოუდგენელია,** ქართველი კაცი მადრიდში მოხვდეს და იქ მცხოვრებ ქართველ მეფეთა პირდაპირი შთამომავლების ნახვისა და, რაც დღეს მათზე ვიცით, იმაზე მეტის შეტყობის სურვილი არ გაუჩნდეს. ესპანეთის დედაქალაქში მყოფს, ცხადია, მეც ეს გრძნობა დამეუფლა, მაგრამ შევიტყვე, რომ ძმები გიორგი და ბაგრატ ბაგრატიონები ქალაქიდან გასულები იყვნენ და თითქოს ყოველგვარი იმედიც გადამეწურა, მაგრამ...

ერთ დღეს დამიკავშირდა მადრიდში მცხოვრები ქართველი ქალბატონი თამარ ბერიძე და მითხრა, რომ საშუალება მეძლეოდა, მის ოჯახში შევხვედროდი საქართველოს სამეფო ტახტის ახლანდელი მემკვიდრის გიორგი ბაგრატიონის შუათანა ვაჟს — დავითს.

14 წლის დავითი არაფრით განსხვავდება თავისი თბილისელი თანატოლებისგან — ჩვეულებრივად დადის სკოლაში, ამზადებს გაკვეთილებს, თავისუფალ დროს კი სპორტს უთმობს. იგი საკმაოდ სერიოზულადაა გატაცებული ავტორბოლით და, როგორც თვითონ მითხრა, სურს მამასავით ცნობილი მრბოლი გახდეს.



ცხადია, დამაინტერესა გიორგი ბაგრატიონის ბიოგრაფიის ამ ჩვენთვის ნაკლებად ცნობილმა ფურცელმა, ამიტომ, დავითს ვთხოვე ეამბნა ამის შესახებ.

გიორგი ბაგრატიონი ავტორბოლით ჯერ კიდევ სიჭაბუკეში დაინტერესებულა. თავიდან ამას სერიოზული ხასიათი არ ჰქონია და ყველას ახალგაზრდულ გატაცებად მიაჩნდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გიორგიმ „ფიატის“ გუნდთან კონტრაქტს მოაწერა ხელი და პროფესიონალი ავტომრბოლი გახდა.

60-70-იან წლებში იგი ხორხე ბაგრატიონის სახელით ბრწყინავდა მსოფლიო საავტომობილო ტრასებზე და ესპანეთის უძლიერესი მრბოლის სახელიც დაიგდო. იგი 12-ჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი „პროტოტიპებისა“ და „ფორმულა-2“-ის კლასში, კარიერის დასასრულ კი რალიში მოსინჯა ძალები და რამდენიმე პრესტიჟულ რბოლაში დიდ წარმატებებს მიაღწია.

საინტერესოა, რომ გიორგი ბაგრატიონმა თავისი შემდგომი ცხოვრებაც ავტოსაქმეს დაუკავშირა — იგი ავტოკონცერნ „ფიატის“ წარმომადგენელია ესპანეთში.

ამჟამად გიორგი ბაგრატიონი სხვა ამპლუაშიც გვევლინება — იგი თავისი ვაჟის, დავითის პირადი მწვრთნელი გახლავთ. ბუნებრივია, მისი რჩევა-დარიგებები დიდად შეუწყობს ხელს ახალბედა მრბოლს მომავალი წარმატებების მიღწევაში.

**მერაბ რატიშვილი**

**მადრიდი — თბილისი, 1990 წლის დეკემბერი.**

• • •

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: გიორგი ბაგრატიონი; მისი ერთ-ერთი ხარბოლო მანქანა.**

---

საჭადრაკო კომპოზიცია —— ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

# თავსატეხი ამოცანები

**საჭადრაკო** ამოცანებს სხვადასხვა შემეცნებით და ესთეტიკურ ღირებულებასთან ერთად თავშესაქცევი და გონებამახვილური გამოცანებისათვის დამახასიათებელი თვისებებიც გააჩნია. ამიტომაც, პრობლემისტები ხანდახან ჭადრაკის დაფაზე ცდილობენ კომპოზიციის გარკვეული მხატვრული პრინციპების დაცვით შექმნან ისეთი ნაწარმოები, რომელშიც თავსატეხი და გასართობი ჟანრის (რებუსი, შარადა, კროსვორდი, გამოცანა და სხვა) ელემენტიც რელიეფურად იქნება წარმოჩენილი. ასეთი ტიპის ნაწარმოებებს „სახალისო კომპოზიცია“ აერთიანებს.

ამ ჟანრის ბრწყინვალე წარმომადგენელი გენიალური სემ ლოიდი იყო. ამ მიმართულებით მსოფლიოში ბევრი თანამედროვე პრობლემისტი მუშაობს. საქართველოში კომპოზიციის „თავსატეხი“ ჟანრის ცნობილი ოსტატია თბილისელი რევაზ თავარიანი, რომლის შემოქმედებაშიც გასართობ თემატიკას ერთობ გამორჩეული ადგილი უჭირავს. მისი მახვილგონივრული ნაწარმოებები არა მარტო ამ ჟანრის აღიარებული ფორმების განვითარებაა, არამედ ხშირად ავტორი საკუთარ ორიგინალურ დავალებებსაც გვთავაზობს.

**ვ. კრემერი, 1970**



**ქიში 3 სვლაში**

ამ ამოცანის ავტორმა უცნაური და ერთი შეხედვით მარტივი დავალება შემოგვთავაზა: შამათის მაგივრად თეთრებმა მხოლოდ ქიში უნდა გამოაცხადონ. მაგრამ ირკვევა, რომ მიზნის მიღწევა არც თუ ისე ადვილია. კიდევ მეტიც, მცდარი კვლევის ფონზე ამოხსნა მხატვრულად მიმზიდველი ჩანს და გეომეტრიულ მოტივებს შეიცავს: 1. ეc1? ეh4! (იმუქრება ეa4+ სვლით) 2. კc4 და თეთრები ამის შემდეგ მესამე სვლაზე ქიშს ველარ გამოაცხადებენ c ხაზის გადაკეტვის გამო. თუ 1. ეd1? მაშინ ეh5! და ა. შ. ამოხსნის ერთადერთი გზაა 1. ეg1! ეh3 2. კb3 და თეთრების მიერ ქიშის გამოცხადება გარდაუვალია!

სახალისო კომპოზიციას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს და მისი

**რ. თავარიანი**

**(იბეჭდება პირველად)**



**შამათი 2 სვლაში**

დიაგრამაზე აღბეჭდილი პოზიცია ჩვენი საკალენდრო თარიღის პირველ ორ რიცხვს („19“) გამოსახავს. მაგრამ საეჭვოა, თვით ამოცანა ვინმემ ამოხსნას. შამათი ორ სვლაში მხოლოდ მაშინ მიიღება, თუ „ერთიანის“ გამომსახველი ოთხივე ფიგურა სხვა ხაზზე აღმოჩნდება. ამრიგად, ავტორი წინადადებას გვაძლევს მოვძებნოთ, „ერთიანის“ ახალი ადგილსამყოფელი, რომელიც ამოცანის ამოხსნას გვაპოვნინებს. როგორც ხედავთ, ავტორი თანამშრომლობას გთავაზობთ, ძვირფასო მკითხველო.

ველით თქვენს პასუხებს და გულითადად გილოცავთ ახალ, 1991 წელს!

---

**ქართული პრესა წერდა...**

# საახალწლოდ

„...**ახალწელიწადს** მეტად ცხადად და აშკარად გამოითქმის და გამოიხატება ხოლმე ხალხის გულის-თქმა და მისი ზნე-ჩვეულება, მისი საეროვნო ვითარება და ვინაობა. ამ მხრითაც ჩვენი ახალი წელიწადი მეტად საგულისხმიერო დღესასწაულია. ძველადაც ყოფილა...

ძველს დროში, ახალწელიწადს ვაჟკაცობის ფერი ედო და მაღალი წოდებაც ამ დღესასწაულს ისე მოეგებებოდა ხოლმე, თითქო საომარი დღეაო, საომარი ვარჯიშობააო. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც მაშინ მთელი ქართველობა უფრო საომარ ვარჯიშობას მისდევდა და მთელი ხალხიც ერთს დიდს შეიარაღებულ რაზმს წარმოადგენდა. მეფე თავის ამალითა, ხელის-უფალნი და ურიცხვნი დიდებულნი თავს დასტრიალებდნენ შეიარაღებულს რაზმს და სწორედ მათი საახალწლო ნადირობა წარმოადგენდა საომარს დღეობას...

საახალწლო დღეობის სულსა და გულს ნადირობა შეადგენდა. მოგეხსენებათ, რომ ძველ დროს ქართველსა ნადირობა მარტო სახეირო და სასარგებლო საქმედ არ მიაჩნდა, ნადირობა უფრო სავაჟკაცო დროს გატარება და ვარჯიშობა იყო. ამიტომაც, ნადირობა სწორედ იმნაირად იყო მოწყობილი, ისეთის წესითა და რიგით სწარმოებდა, რომ ხელს უწყობდა ვაჟკაცობის განვითარებას. მეტადრე ეს ითქმის „ისრითა“ და „თოფით“ ნადირობაზედ... განთქმული მონადირე სახელოვანი ვაჟკაციც იყო... ცხენზედ მარჯვედ ჯდომა დიდად საჭიროა მონადირესათვის და საზოგადოდ ყველა ვაჟკაცისათვისაც, ცხენოსნობა დიდად ჰღირდა...

ცხენოსნობის გარდა, მართალი და მარჯვე ისრის სროლაც სავაჟკაცო საქმეს შეადგენდა. სახელოვანი მშვილდოსანი განთქმული იყო თავისის სიმარდით. სათაკილოდ და სამარცხვინოდ მიაჩნდათ, თუ ვაჟკაცი ცხენსა და მშვილდს წესივრად ვერ ჰხმარობდა. ერთი სიტყვით, კარგი ნადირობა კარგს ვაჟკაცობას უდრიდა...

ნადიმობაც სასიამოვნო და მიმზიდველი იცოდნენ. ძველებური ნადიმობა გულსა და სულს უტკბობდა ქართველს...

რასაკვირველია, სიმღერა და გალობა არა ჰკმარობდა. კარგს სმასაც ფასი ედო... საარშიყო და სამიჯნურო ლექსებიც უყვარდათ...

ცეკვასა და თამაშობას ხომ საზღვარი არა ჰქონდა. ჰიდაობა, საბელზედ თამაშობა და სხვა გვარი შექცევად ძლიერ მიაჩნდათ —

**რამდენი რიგი ჰიდება,**
**იქნება ფალავნებითა,**
**ძალით ვერ დასცენ ერთ-ერთი,**
**მცდელია ბევრ ფანდებითა,**
**სხვის მოთამაშის მრავალთა**
**მომხხმელი ჯამბაზებითა,**
**საბელზედ გავლენ კისკასად,**
**სიფიცხით, ფერხმალებითა...**

აქ საბელზედ გავლას მუშაითი ერქვა, დიდს პატივში იყო და საჩუქრად ხალათი ებოძებოდა ხოლმე. —

**მუშაითს მისცენ ხალათი,**
**ზედ წამოასხმენ აბანოს...**

ყველა იმედითა და ნუგეშით შეჰყურებს ახალ წელს, ყველა სიკეთესა და ბედნიერებას ჰნატრობს დღევანდელს დღეს.... ჩვენც პატივს ვსცემთ ამ გრძნობას და ცხოვრების მომნიჭებელს ძალას. ღმერთმა ბედნიერად დაგასწროთ მრავალს ამ დღეს, ბედნიერის მერმისის იმედი და ნუგეში ნუ მოგაკლოთ!“...

**ნიკოლოზ ხიზანიშვილი**
**(ურბნელი)**

**„ივერია“, 1889 წ. № 1.**

**მოგვაწოდა სულიკო ნუცუბიძემ.**

---

## კალეიდოსკოპი

● **იტალიის** სამთომოთხილამურეებს ახალი სპონსორი გამოუჩნდათ. ეს არის „გრანა პადანოს“ კონსორციუმი. სპონსორი მოთხილამურეთა წვრთნის დასაფინანსებლად ორ მილიარდ ლირას გაიღებს.

● **თვითმკვლელობით** დაამთავრა ცხოვრება 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა წყალში ხტომაში ლარი ანდრეასენმა. თავის სიცოცხლეში ბოლო ნახტომი მან შეასრულა ლოს-ანჯელესის ერთ-ერთი ხიდიდან.

● **ბულგარეთის** მაღალმთიანი საწვრთნელი ცენტრი ბელმეკენი, რომელიც სოფიიდან 230 კილომეტრზე მდებარეობს, ამიერიდან უცხოელ სპორტსმენებსაც გაუღებს კარს.

● **გაერთიანებული** გერმანიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაში შეყვანილია ყოფილი გდრ-ის ცამეტი სპორტული სპეციალისტი. მათგან სამი გერმანიის ოლიმპიური კომიტეტის ახალი პრეზიდიუმის შემადგენლობაში აირჩიეს.

● **როგორც** ცნობილია, ევროპაში ბევრი ამერიკელი სპორტსმენი ცხოვრობს (ცხადია, დროებით). იმისათვის, რომ შეჯიბრებებს შორის თავისუფალ დროს სრულყოფილი წვრთნის საშუალება ჰქონდეთ, გერმანიის ალპებში ამერიკელებმა მათთვის სპეციალური „საყრდენი პუნქტი“ მოაწყვეს.

● **სტატისტიკოსთა** მონაცემებით, ბუდაპეშტში ახლახან გამართული ძალოსანთა მსოფლიო პირველობა მრავალმხრივ სარეკორდო გამოდგა. ჩემპიონატში მონაწილეობდა 37 ქვეყნის 207 ათლეტი, აკრედიტებულ ჟურნალისტთა რაოდენობამ კი 240-ს გადააჭარბა, ჩემპიონატის მიმდინარეობას ბუდაპეშტიდან ექვსი ტელე და ხუთი რადიოსადგური გადასცემდა. ყველა ეს მაჩვენებელი სარეკორდო ყოფილა.

---

საახალწლო იუმორი




— შენი სვლაა, ახალო წელო!

— რა გისურვო, ჩემპიონო?
— ფიფა, ბაბუა, ფიფა!

ვახტანგ კუციას ნახატები.

---

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა 1991 წლის 3 იანვარს.

რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. ნოზაძე, კორექტორები ც. ჩიტიშვილი და მ. ძეძამიძე.

ჩვენი მისამართი: წერილებისათვის — 380096, თბილისი, 8. კოსტავას ქ. 14, ტელეგრამებისათვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54, „ზეგანი“ — 93-97-90, „მარათონი“ — 93-97-27.

გაზეთის ინდექსი: 60485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, 8. კოსტავას ქ. 14,

ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20